

შპს სმართ ვეარჰაუს
ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულებები	8
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	8
5. ძირითადი საშუალებები	11
6. არამატერიალური აქტივები	12
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12
8. ფული და ფულის ექვივალენტები	13
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13
10. საოპერაციო შემოსავალი	14
11. საოპერაციო ხარჯი	14
12. ადმინისტრაციული ხარჯი	15
13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15
14. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	15
15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	15

შპს სმართ ვეარჰაუს


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5	19,437,121	10,189,212
არამატერიალური აქტივები	6	234,029	124,151
გაცემული სესხები		-	1,111,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		19,671,150	11,424,363
მოკლევადიანი აქტივები:			
ნედლეული და მასალები		10,839	31,686
საგადასახადო აქტივი		-	13,211
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	969,425	534,805
ფული და ფულის ექვივალენტები	8	2,015,802	136,358
სულ მიმდინარე აქტივები		2,996,066	716,060
სულ აქტივები		22,667,216	12,140,423
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:			
საკუთარი კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი		6,851,306	1,025,962
რეზერვები		4,425,384	4,470,921
გაუნაწილებელი მოგება		268,623	394,494
სულ საკუთარი კაპიტალი		11,545,314	5,891,376
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
ფინანსური ვალდებულება		8,304,699	5,984,913
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
საგადასახადო ვალდებულება		120,269	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	2,696,934	264,164
სულ ვალდებულებები		11,121,902	6,249,077
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		22,667,216	12,140,423

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 7 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბესიკ ახალაძე

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

გვერდი 3 -18

შპს სმართ ვერაჟუს


სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

		<u>2022</u>	<u>2021</u>
საოპერაციო შემოსავალი	10	6,408,712	1,996,706
საოპერაციო ხარჯი	11	(5,391,993)	(1,236,340)
საერთო მოგება		1,016,719	760,367
ადმინისტრაციული ხარჯი	12	(534,886)	(206,969)
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი:			
ფინანსური ხარჯი		(755,347)	(580,469)
ფინანსური შემოსავალი		61,455	123,602
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი), ნეტო		68,899	(15,278)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		(28,247)	(551)
მოგება დაბეგვრამდე		(171,407)	80,701
მოგების გადასახადის ხარჯი			-
პერიოდის წმინდა მოგება		(171,407)	80,701

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 7 ივნისს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



ბესიკ ახალაძე

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

გვერდი 4 -18

შპს სმართ ვეარჰაუს

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	რეზერვები	სულ საკუთარი კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	1,025,962	268,227	4,516,457	5,810,645
კაპიტალის ზრდა	-	126,237	-	126,237
კაპიტალის შემცირება	-	-	(45,536)	(45,536)
31 დეკემბერი 2021	1,025,962	394,464	4,470,921	5,891,376
კაპიტალის ზრდა	5,825,344	45,536	-	5,870,881
კაპიტალის შემცირება	-	(171,407)	(45,536)	(216,943)
31 დეკემბერი 2022	6,851,306	268,624	4,425,385	11,545,314

შპს სმართ ვეარჰაუს

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

	<u>2022</u>	<u>2021</u>
მოგება დაბეგვრამდე	(171,407)	80,701
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
კორექტირება:		
ცვეთა	621,171	372,644
მისაღები პროცენტი	(61,455)	(123,602)
გადასახდელი პროცენტები	742,808	576,375
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	2,155	(1,948)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება, ნეტო	28,247	551
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(421,409)	(189,386)
მარაგების (ზრდა)/შემცირება	20,847	(30,201)
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	2,530,151	134,752
გადახდილი/მიღებული თანხები:		
გადახდილი პროცენტი	(721,076)	(559,073)
მიღებული პროცენტი	61,455	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	2,802,895	180,112
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის/გაყიდვის შედეგად მიღებული/(გადახდილი) ფული	(9,981,113)	(697,447)
გაცემული სესხები	1,111,000	(94,000)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(8,870,113)	(791,447)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
კაპიტალის ზრდა / შემცირება	5,825,374	-
გრძელვადიანი სესხის აღების/დაფარვის შედეგად მიღებული/(გადახდილი) ფული	2,318,429	634,356
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები:	8,143,804	634,356
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულისა და ფულის ექვივალენტებზე	(25,735)	(1,685)
სულ ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა	1,879,444	102,037
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	136,358	34,322
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,015,802	136,359

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სმართ ვეარჰაუსი (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2015 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საიჯარო ფართის გაქირავება და ლოჯისტიკური მომსახურება. კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა 2021 წლის ბოლოს 41 ადამიანს, ხოლო 2022 წლის ბოლოს 263 ადამიანს შეადგენდა.

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ მნიშვნელოვნად გააფართოვა ლოჯისტიკური მომსახურების ხაზი, რამაც განაპირობა შემოსავლების, ხარჯებისა და თანამშრომელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა მიმდინარე პერიოდში.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის ბესიკ ახალაძის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, დავით აღმაშენებლის ხეივანი № 6.

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელია:

შემზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება იალონი	85.31%
ბესიკ ახალაძე	14.69%
სულ:	100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისი შედგება სრული შემოსავლების ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგების, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგების და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადანაცვებულებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადანაცვებულებების შემუშავებას

მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადანაცვებულებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადანაცვებულებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლობას მიღებას.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	25
შენობა-ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია ღვას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია ღვება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ექვივალენტები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ექვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის. მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშევა, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული.

შესაბამისად მოთხოვნები არ საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშევა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი	942,922	-	-	942,922
მისაღები პროცენტები	28	-	-	28
თანამშრომლის მიმართ მოთხოვნები	3,589			3,589
ფული სალაროში	875	-	-	875
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე	2,014,927	-	-	2,014,927
	2,962,340	-	-	2,962,340
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	2,373,725	3,715	8,484	2,385,924
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	-	-	4,696	4,696
სახელფასო ვალდებულებები	245,754	-	-	245,754
გადასახდელი პროცენტები	43,049	-	-	43,049
	2,662,527	3,715	13,180	2,679,423
ღია საბალანსო პოზიცია	5,624,867	3,715	13,180	702,819

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	20%	20%
დოლარი	743	(743)
ევრო	2,636	(2,656)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგებას, რეზერვებს, პერიოდის მოგებას და სანესდებო კაპიტალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების შეფასებისას მიწაზე და შენობა-ნაგებობებზე იყენებს გადაფასების მოდელს, ხოლო ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფების შეფასებისას გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებები და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა	დაუმთავრებული მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის ალტურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალება	სულ
ისტორიული ღირებულება								
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	3,402,976	375	5,965,364	776,150	62,547	309,624	8,944	10,525,979
შეძენა	-	-	18,497	25,690	23,853	21,048	614,940	704,028
გასვლა	-	-	-	-	-	-	(8,944)	(8,944)
<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>3,402,976</u>	<u>375</u>	<u>5,983,861</u>	<u>801,840</u>	<u>86,399</u>	<u>330,672</u>	<u>614,940</u>	<u>11,221,063</u>
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2020	-	-	(565,048)	(43,989)	(7,258)	(43,806)	(517)	(660,618)
ცვეთა	-	-	(239,695)	(77,816)	(15,562)	(32,627)	(6,945)	(372,644)
გასვლა	-	-	-	-	-	-	1,411	1,411
<u>31 დეკემბერი 2021</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>(804,743)</u>	<u>(121,805)</u>	<u>(22,820)</u>	<u>(76,433)</u>	<u>(6,050)</u>	<u>(1,031,851)</u>
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	3,402,976	375	5,400,316	732,161	55,288	265,817	8,427	9,865,361
31 დეკემბერი 2021	<u>3,402,976</u>	<u>375</u>	<u>5,179,118</u>	<u>680,034</u>	<u>63,579</u>	<u>254,239</u>	<u>608,890</u>	<u>10,189,212</u>
ისტორიული ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	3,402,976	375	5,983,861	801,840	86,399	330,672	614,940	11,221,063
შეძენა	4,543,000	44,480	3,039,132	87,556	29,499	264,280	1,862,969	9,870,916
გასვლა	-	(375)	-	-	-	(1,780)	-	(2,155)
<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>7,945,976</u>	<u>44,480</u>	<u>9,022,993</u>	<u>889,395</u>	<u>115,898</u>	<u>593,172</u>	<u>2,477,910</u>	<u>21,089,824</u>
დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	-	-	(804,743)	(121,805)	(22,820)	(76,433)	(6,050)	(1,031,851)
ცვეთა	-	-	(299,174)	(84,370)	(20,003)	(49,376)	(168,249)	(621,171)
გასვლა	-	-	-	-	-	320	-	320
<u>31 დეკემბერი 2022</u>	<u>-</u>	<u>-</u>	<u>(1,103,916)</u>	<u>(206,175)</u>	<u>(42,823)</u>	<u>(125,489)</u>	<u>(174,299)</u>	<u>(1,652,703)</u>
ნეტო საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2021	<u>3,402,976</u>	<u>5,179,118</u>	<u>680,034</u>	<u>63,579</u>	<u>254,239</u>	<u>608,890</u>	<u>375</u>	<u>10,189,212</u>
31 დეკემბერი 2022	<u>7,945,976</u>	<u>44,480</u>	<u>7,919,077</u>	<u>683,220</u>	<u>73,075</u>	<u>467,683</u>	<u>2,303,610</u>	<u>19,437,121</u>

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების უმეტესი ნაწილი შედგება სააღრიცხვო პროგრამებისგან, რომელსაც არ ერიცხება ცვეთა სასარგებლო მომსახურების ვადის განუსაზღვრელობის გამო. ასევე, არ განხორციელებულა არამატერიალური აქტივების გაუფასურება, რადგან არ გამოვლენილა გაუფასურების ინდიკატორი ან/და ისეთი გარემოება, რომელიც მოითხოვდა აქტივის ღირებულების შემცირებას.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება

31 დეკემბერი 2020 121,251

შეძენა 2,900

გასვლა -

31 დეკემბერი 2021 124,151

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2021 121,251

31 დეკემბერი 2022 124,151

შეძენა 109,878

გასვლა -

31 დეკემბერი 2022 234,029

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2021 124,151

31 დეკემბერი 2022 234,029

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
ფინანსური		
სავაჭრო მოთხოვნები (რეზიდენტი)	942,922	234,330
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)		
მისაღები პროცენტები	28	212,633
თანამშრომლის მიმართ მოთხოვნები	3,589	-
არაფინანსური		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები (რეზიდენტი)	22,887	12,039
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები (არარეზიდენტი)	-	75,802
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	969,425	534,805

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში. კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	875	8,781
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე	2,014,927	127,577
	2,015,802	136,358

ფულის და ფულის ექვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		
ფინანსური		
სავაჭრო ვალდებულებები (რეზიდენტი)	212,655	182,876
სავაჭრო ვალდებულებები (არარეზიდენტი)	4,993	4,993
სახელფასო ვალდებულებები	245,754	29,779
გადასახდელი პროცენტები	43,049	21,316
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)		
არაფინანსური		
მყიდველებისგან მიღებული ავანსები (რეზიდენტი)	17,511	25,200
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,696,934	264,164

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

10. საოპერაციო შემოსავალი

საოპერაციო შემოსავალი 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		
შემოსავალი ლოჯისტიკიდან	5,264,358	1,104,253
შემოსავალი ფართის იჯარიდან	767,691	868,384
სხვა შემოსავალი	376,662	24,070
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	6,408,712	1,996,706

11. საოპერაციო ხარჯი

საოპერაციო ხარჯი 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
საოპერაციო ხარჯი		
შრომის ანაზღაურება	2,910,549	428,763
იჯარის ხარჯი	689,454	372,644
ცვეთის ხარჯი	621,171	46,452
ლოჯისტიკური მომსახურების ხარჯი	339,943	68,371
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯი	241,147	-
კომუნალური ხარჯი	171,774	97,193
ძირითადის საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯი	150,107	-
პირდაპირი გადასახადების ხარჯი	114,112	66,243
პროგრამასთან დაკავშირებული ხარჯები	63,229	68,667
დაცვის ხარჯი	45,763	53,390
სხვა ხარჯი	44,744	34,617
სულ საოპერაციო ხარჯი	5,391,993	1,236,340

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

12. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ადმინისტრაციული ხარჯი		
შრომის ანაზღაურება (ადმინისტრაცია)	329,147	140,601
რემონტის ხარჯი	65,560	7,342
საკონსულტაციო ხარჯი	35,291	34,138
სამეურნეო ხარჯი	33,561	9,559
მივლინების ხარჯი	32,907	-
საგადასახადო ხარჯი	11,516	6,831
საოფისე ხარჯი	10,721	2,165
საკომუნიკაციო ხარჯი	3,447	2,715
სხვა საერთო ხარჯები	12,735	3,618
სულ ადმინისტრაციული ხარჯი	534,886	206,969

13. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

14. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახით მატერიალურ დამატებით დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისეში დამატებითი რეზერვების აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნევა მართებულად.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

15. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს შემოსავალს ფართის იჯარიდან და შემოსავალს ლოჯისტიკური მომსახურებიდან. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

მნიშვნელოვანი საარსიხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია მომსახურებას ყიდის ფიქსირებული ფასებით. კომპანიის მენეჯმენტს ფასი განსაზღვრული აქვს ერთი ერთეულის მიხედვით.

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოადგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ექვივალენტებს. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან

დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება, ცვლილების მოგებასა ან ზარალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს რეალური ღირებულებით, ცვლილების მოგებასა ან ზარალში ასახვით.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება,

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდება ნეტო თანხა მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა და საწარმო ამის ვალდებულებას იღებს წინასწარ.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი განწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის საშუალო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს სმართ ვეარჰაუს

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის (ლარში)

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

	აშშ დოლარი / ლარი	ევრო/ლარი
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

განუღმ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები განუღმთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი, უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

07-18 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.